შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№24 (9.983)

10 - 17 ივლისი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

უშუს გუნდი კვლავ წარმატებით ასპარეზობს

გვ.8

„ყოველ ახალ თაობას საკუთარი სიახლე მოაქვს"...

გვ.4-6

რომ არა კოვიდი...

გვ. 3

ბევრი წარმატებული მეწარმე დედოფლისწყაროს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ოზაანის მერის წარმომადგენელთან, ვანო ბენაშვილთან ერთად სოფელში არსებული სატაცურის საწარმო დაათვალიერა.

საწარმოს მფლობელები ძმები ჯაბა და მამუკა გიგოლაშვილები არიან, რომლებმაც სატაცურის მოყვანა და მისი სარეალიზაციოდ წარნმოება 6 წლის წინ დაიწყეს. წელს მათი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ოზაანი" USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში თანამედროვე აპარატურით აღიჭურვა და მნიშვნელოვნად გაფართოვდა .

ამ ეტაპზე სატაცური 5 ჰექტარზეა გაშენებული და ყოველწლიურად მიღებული მოსავლის რაოდენობა 2-3 ტონას შეადგენს, თუმცა ძმები მომავალში წარმოების ეტაპობრივად გაზრდას და უცხოეთის ბაზარზე გასვლას გეგმავენ. **„ვგეგმავთ, რომ წლიური წარმოება 20 ტონამდე გავზარდოთ და ბაზრის არეალიც გავაფართოვოთ, რაც ავტომატურად დასაქმებული ადამიანების რაოდენობაის გაზრდისაც გულისხმობს. თუ დღეს ჩვენს სამუშაო პროცესში 12-13 ადამიანიანია ჩართული, მომავალში მათი რაოდენობა 20 ადამიანს გადააჭარბებს"**-აცხადებს ჯაბა გიგოლაშვილი.

საწარმოში სტუმრობისას ნიკოლოზ ჯანიაშვილმა აღნიშნა, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. **„უკანასკნელ წლებში ხელისუფლებამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მხარდასაწერად არაერთი პროგრამა აამოქმედა. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება ბევრი წარმატებული მეწარმე გვყავდეს და თითოეულმა მათგანმა იგრძნოს ჩვენი გვერდში დგომა"**-აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ვენახების საკადასტრო ამონაწერის გაცემა გრძელდება

ვენახების საკადასტრო ამონაწერი, ბოლო ორი კვირის განმავლობაში, 1000-ზე მეტმა მევენახე ფერმერმა მიიღო. 2019 წლიდან დღემდე, ვენახების საკადასტრო ამონაწერი გაცემულია 21,000 ფერმერზე, აქედან 6 ათასი, მიმდინარე წელს.

2021 წლიდან, რთველის დროს, ვენახების საკადასტრო ამონაწერის გარეშე, მევენახე ღვინის საწარმოს ყურძენს ვერ ჩააბარებს. ვენახების რეგისტრაცია და კადასტრის ამონაწერით მოსავლის ჩაბარება ყველა მევენახისთვის სავალდებულო გახდა. ფერმერებს ვენახების რეგისტრაცია და ვენახის საკადასტრო ინფორმაციის განახლება ამ ეტაპზე ყვარელში, გურჯაანში, სიღნაღში, თელავში, ახმეტაში და აღნიშნული მუნიციპალიტეტების სოფლებში განთავსებულ, ჯამში, 47 სარეგისტრაციო უბანში შეუძლიათ.

რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, ასევე, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში რეგისტრაცია უახლოეს დღეებში დაიწყება. რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, ღვინის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ უკვე მომზადებულია 10 პირი, რომელიც მევენახეებს კადასტრის ერთიან ბაზაში დაარეგისტრირებს. ვენახების კადასტრის პროგრამასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელი ხაზს - 1501.

C M Y K

გზების მოწყობის სამუშაოები გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზების მოწყობის სამუშაოები აქტიური ტემპით ხორციელდება.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ გივი მეტრეველმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მიმდინარე საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და კომპანია ,,სერპანტინის" დირექტორთან ზურაბ ფეიქრიშვილთან ერთად დაათვალიერა.

„საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელში ხორციელდება, ზოგი მიმდინარეა, ზოგიც უახლოეს პერიოდში დაიწყება. დღეს ჩვენ ოზაანში, ზემო მაჩხაანსა და გამარჯვეთაში ვიმყოფებოდით, სადაც ასევე მიმდინარეობს საავტომობილო გზების მოწყობა. ეს პროცესი მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება. ჩვენი მიზანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მაქსიმალურად შეუქმნათ ცხოვრების ღირსეული პირობები" - განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა.

სოციალურად დაუცველ ბავშვთა დახმარება პირველი ივლისიდან გაიზრდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, სოციალურად დაუცველ ბავშვთა დახმარება პირველი ივლისიდან 2-ჯერ, არსებული 50 ლარის ნაცვლად - 100 ლარამდე გაიზრდება. ასევე, გაიზრდება დახმარების მიმღებ ბავშვთა რაოდენობა, - ამის შესახებ მთავრობის მეთაური ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ მილოცვაში აღნიშნავს.

გარდა ამისა, არსებული 100 000 ქულის ნაცვლად, 100-ლარიან დახმარებას მიიღებენ 120 000-ზე ნაკლები ქულის მქონე ოჯახებში მცხოვრები ბავშვები. ეს გადაწყვეტილება 215 ათასზე მეტ ბავშვს შეეხება.

„ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ვულოცავ ჩვენს პატარებს. ჩვენ არაერთი ნაბიჯი გადავდგით ბავშვთა უფლებების დასაცავად, მათთვის ჯანსაღი ცხოვრების, განვითარების, თვითრეალიზაციის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად. თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ შორს ვართ სასურველი ვითარებისგან. კვლავ გამოწვევად რჩება ბავშვთა შორის სიღარიბე. პრობლემა განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს პანდემიის პირობებში. ბავშვების სიღარიბის შესამცირებლად ჩვენ მიზნად დავისახეთ სოციალური პოლიტიკის მკვეთრი გაუმჯობესება. ჩვენი გადაწყვეტილებით, სოციალურად დაუცველ ბავშვთა დახმარება პირველი ივლისიდან 2-ჯერ, არსებული 50 ლარის ნაცვლად - 100 ლარამდე გაიზრდება. ასევე გაიზრდება დახმარების მიმღებ ბავშვთა რაოდენობა. არსებული 100 000 ქულის ნაცვლად, 100-ლარიან დახმარებას მიიღებენ 120 000-ზე ნაკლები ქულის მქონე ოჯახებში მცხოვრები ბავშვები. ეს გადაწყვეტილება 215 ათასზე მეტ ბავშვს შეეხება. აღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 145 მილიონი ლარი გამოიყოფა", - აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი.

ცესკო-ს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატების ვინაობა ცნობილია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატების ვინაობა ცნობილია.

ცესკო-ს თავმჯდომარეობის პოზიციის დასაკავებლად გასაუბრებას გაივლიან: ვილი პაჭკორია, მაია გურამიშვილი, გიორგი კალანდარიშვილი, იმედა კლდიაშვილი, გიორგი სანტურიანი, ილია ჭანტურაია, ლილი ბეგიაშვილი, ბონდო გასვიანი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის პოზიციის დასაკავებლად კი, დღეს გასაუბრება გაიმართება შემდეგ კანდიდატებთან: ემზარ კაკულია, გია ცაცაშვილი, კონსტანტინე ჩიტანავა, თამაზ თაყაძე, ანა მიქელაძე, მარი კაპანაძე და არჩილ მდივნიშვილი.

ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტზე რვა განაცხადია შესული, წევრობის სურვილი კი, 16 პირს აქვს. საკონკურსო კომისიას გასაუბრებისთვის ორი დღე აქვს, შემდეგ მან პრეზიდენტს თითო ვაკანტურ პოსტზე მინიმუმ ორი და მაქსიმუმ სამი კანდიდატი უნდა შესთავაზოს. თუმცა შესაძლებელია, კომისიამ რეკომენდაცია არც ერთ კანდიდატს მისცეს და კონკურსი ხელახლა გამოცხადდეს.

შეთავაზებულ კანდიდატებზე უარის თქმის უფლება აქვს პრეზიდენტსაც. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი კომისიის რეკომენდაციას დაეთანხმება, თითო ვაკანტურ

პოსტზე ორკანდიდატს პარლამენტს წარუდგენს. საკანონმდებლო ორგანომ ცესკო-ს თავმჯდომარის ან წევრის ხუთი წლით დასამტკიცებლად მას მხარდაჭერა ხმების 2/3-ით, ანუ მინიმუმ 100 ხმით უნდა გამოუცხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებამოსილების ვადა ექვსი თვით განისაზღვრება.

ვინ გინდა რომ გამოხვიდე?

არსებობს კითხვები, რომლებიც ბავშვობაში ჩვენთვის, ყველასთვის დაუსვამთ. ნაყინი თუ შოკოლადი, დედა თუ მამა, ცეკვა თუ სიმღერა... ამ კითხვებში იყო ერთი ძალიან მნიშვნელოვანი და ამავდროულად უდარდელი კითხვა, რომელსაც ყველანი ძალიან მარტივად ვპასუხობდით: ვინ გინდა, რომ გამოხვიდე? და ჩვენც, მსწრაფლვე წამოვიძახებდით ხოლმე: კოსმონავტი, ექიმი, პოლიციელი, მეხანძრე და ა.შ და ა.შ. ეს კითხვა, მაშინ, იოლი და მარტივად პასუხგასაცემი გვეგონა, რადგან ჩვენი წარმოდგენებიც ძალიან მსუბუქი, მარტივი და ადვილად სამართავი იყო. ვინც გვინდოდა, ის უკვე ვიყავით, ფიქრებში, ოცნებებში, მაგრამ მაინც...

მუსიკის მასწავლებლობა მინდოდა. ამაზე ფიქრს ჩემი ბავშვობის „უამრავი" წელი „შევალიე". წარმოვიდგენდი, თუ როგორ ვასწავლიდი ბავშვებს მუსიკას, როგორი მონდომებული და ენერგიული ვიქნებოდი თითოეულ გაკვეთილზე, როგორ ვიამაყებდი ჯერ მე, საკუთარი თავით, და სხვა ჩემს მიერ გაწეული შრომის შედეგებით. ახლა ისევე შორს ვარ მუსიკის მასწავლებლობისგან, როგორც კოსმონავტობისგან, მაგრამ ის ოცნება არასდროს მავიწყდება. არც არასდროს მდომებია დავიწყება, რადგან მან ძალიან ბევრი რამ მასწავლა: ის, რომ საკუთარი თავი კარგად უნდა გაიცნო, გააცნობიერო რა გინდა, მიხვდე, სად ხედავ შენს თავს იმის ფონზე, რასაც გარემო გთავაზობს, დაფიქრდე შესაძლებლობებზე, მიზნებზე, უნარებზე, რადგან „ვინ გინდა, რომ გამოხვიდე" არჩევანის მომენტში, ამ ყველაფერს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ეს სერიოზული მომენტი კი ჩვენს ცხოვრებაში ნამდვილად დგება. არჩევანის გაკეთებისას, ეს კითხვა აღარც მსუბუქი გვეჩვენება და აღარც მასზე პასუხის გაცემა გვიხარია დიდად. პირიქით- ამ კითხვის სიმძიმეს იმაზე მეტად ვგრძნობთ, ვიდრე ნებისმიერი მძიმე ტვირთის ტარებისას ვიგრძნობდით. სიმძიმე კი რამდენიმე სიტყვაში გამოიხატება - „საქმე,რომელიც მთელი ცხოვრება უნდა აკეთო". რამდენადაც მარტივია ეს წინადადება საქმელად, დასაწერად, იმდენადვე რთულია მისაღებად და გასააზრებლად. ვისაც ეს გზა გაუვლია, დამეთანხმება, რომ პროცესი უდიდეს შრომას, მონდომებასა და ფიზიკურ თუ სულიერ ენერგიას მოითხოვს. ძალისხმევას, რომ ყველაფერმა სასურველი სახე მიიღოს და ბოლოს თქვა: „მე გამოვედი..."

პროფესიის არჩევისას, სხვების პირადი გამოცდილება, ხშირად ძალიან კარგი მასწავლებელია. ამ „მასწავლებლის" რჩევებს ზოგი იღებს, ზოგიც არა. საბოლოოდ, ყველაფერი მაინც თითოეული თქვენგანის გადასაწყვეტია, მაგრამ, ხანდახან, სხვა კუთხით დანახული თქვენი არჩევანის წინაპირობა, უკეთეს შედეგს იძლევა. სუბიექტური ვიქნები და გეტყვით, რომ ამ პროცესში ყველაფერი მაინც გარკვეულ ეტაპებად იყოფა:

-ყველაფერი საკუთარი თავის შეცნობით იწყება. ვფიქრობ, აუცილებელია, თავდაპირველად გაიცნოთ საკუთარი თავი. რა არის თქვენი ჰობი, რა გაინტერესებთ, რისი კეთება გსიამოვნებთ. არ აქვს მნიშვნელობა რას გეტყვიან სხვები, ვის, რომელი პროფესია „ემეტება" თქვენთვის, ვინ სად გხედავთ 5, 10, 15 წლის შემდეგ. მთავარი ხართ თქვენ.

-გადაწყვიტეთ თქვენი მიმართულება - ჰუმანიტარული საგნები გიზიდავთ და გამოგდით თუ ტექნიკური. ხშირად, იქ სადაც თავი ყველაზე „სუსტი" გვგონია, ყველაზე ძლიერები აღმოვჩნდებით ხოლმე. ეს ფაქტია.

-სწორად გათვალეთ თქვენი უნარები და შესაძლებლობები. ძალიან მნიშვნელოვანია, საკუთარი თავის სწორად შეფასება. ზედმეტი თავდაჯერებულობა, სიკეთეს ვერ მოგიტანთ. სწორი შეფასება და ანალიზი გაძლევთ რეალობის დანახვის საშუალებას. საკუთარ თავზე უკეთ ვერავინ გეტყვით რა, როგორ შეგიძლიათ და რისი კეთება გამოგდით ყველაზე მეტად.

-ხასიათი და შინაგანი სამყარო. იმის გათვალისწინება, ინტროვერტი ხართ თუ ექსტროვერტი, მომავალი პროფესიის უკეთ წარმოდგენაში დაგეხმარებათ. დაფიქრდით, თქვენი ხასიათის თვისებები დამაბრკოლებელი წინაპირობა ხომ არ იქნება პროფესიული განვითარებისთვის? შინაგანი სამყარო გიკარნახებთ, დინებას უნდა მისდიოთ თუ აღმა აუყვეთ მას.

-ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად მე მომავალი პროფესიის შეცნობასაც დავასახელებდი. შეძლებისდაგვარად გაეცანით ყველაფერს იმ პროფესიაში, რომელსაც ირჩევთ. ეს გარკვეულ წარმოდგენებს შეგიქმნით ანდაც არსებულს გაამყარებს, რადგან ხშირად ყველაფერი სწორედ არასწორი წარმოდგენებითა და ილუზიებით იწყება და მთავრდება. პატარა „გამოძიება" არ იქნება ურიგო.

-რჩევები მიიღეთ კომპეტენტური და საჭირო ადამიანებისგან. როგორც უკვე ვახსენე, სხვათა გამოცდილება, ხშირად კარგი მოტივატორი და ბიძგის მიმცემია. სხვების გავლილი გზა, მიღწეული წარმატება, ანდაც ამ წარმატების გზაზე „ქვების" მოცილების ტექნიკა, თქვენი მოტივაციის წყაროც კი შეიძლება გახდეს.

-ნუ გექნებათ ნიჰილისტური, უარყოფითი, არაფრისმთქმელი დამოკიდებულება. ეს თქვენი ცხოვრებაა, გადაწყვეტილებები თქვენ უნდა მიიღოთ, რადგან სხვების მიერ დაგეგმილი მომავალი, თქვენი საერთოდ აღარ იქნება და სხვისი თვალებით და გონებით მოგიწევთ ყველაფრის შეფასება. ცხოვრება თქვენია, მიიღეთ რჩევები, მაგრამ გადაწყვეტილებები მხოლოდ თქვენი მისაღებია - ეს თქვენი ცხოვრების ახალი ეტაპია!

-და ყველაზე აუცილებელი: ბოლომდე იბრძოლეთ დასახული მიზნისთვის. ოცნებები ქცეული მიზნებად აცოცხლებს ადამიანს, ამოძრავებს და წინ და წინ მიჰყავს. ამ ბრძოლაში კი დამერწმუნეთ მთავარი შედეგი წარმატება იქნება.

არსებობს კითხვები, რომლებიც ბავშვობაში ხშირად დაუსვამთ ჩვენთვის. და არსებობს კითხვები, რომლებიც ბავშვობის გგვგონია, მაგრამ სინამდვილეში, ის მთელი ჩვენი ცხოვრების ნაწილად იქცევიან ხოლმე. „ვინ გინდა გამოხვიდე"? სწორედ ასეთი კითხვა მგონია. გულუბრყვილოდ მარტივი საპასუხო, მაგრამ მთელი სერიოზულობით მისაღები. მგონია, ყველაზე ღირსეული პასუხი ამ კითხვას მაშინ ექნება, როდესაც უკან მოვიხედავთ და პროფესიულ წარმატებასთან ერთად ვიტყვით - „მე გამოვედი - ადამიანი!", რადგან ყველაფერში მთავარი მაინც ადამიანი და ადამიანობაა!

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

რომ არა კოვიდი...

„საქმე უნდა გაიჩინო და გექნება...“
ოტია იოსელიანი

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და ირგვლივ ყველაფერმა ნგრევა დაიწყო, როდესაც სახელმწიფო საკუთრების იქეთ კერძო საკუთრების გაგებაში არ ვიყავით, სიტყვა „პრივატიზაცია“ რას ნიშნავდა ბოლომდე არც კი ვიცოდით, ვისაც გონება ეყო და ხელი მიუწვდებოდა, რაღაც-რაღაცეებს ყიდულობდა, შლიდა და ორიოდ კაპიკს შოულობდა. დავით ნასრაშვილმაც, ახლობლების რჩევით, საბჭოთა ჯარის ნაწილისათვის, (რომელიც ქალაქის ცენტრში იყო დაბანაკებული), განკუთვნილი ამორტიზებული აბანო თავის მიწიანად შეისყიდა. გვახსოვს აქ, ჰამლეტ გონაშვილის, ყოფილი კიკვიძის ქუჩის ბოლოში (სასამართლოს შენობის იქით), თავდაღმართზე მრუმე, უჟმური შენობა და საწვავის დიდი, რკინის ავზები იდგა. ეზოში კი მიმობნეული იყო სხვადასხვა ლითონის ნარჩენები. სწორედ ამ ლითონის ჩაბარების პერსპექტივით შეიძინა დათომ ეს მიწა და სხვა ვერაფერს მოიაზრებდა მაშინ სამომავლოდ. ცოტა ხანში მოსახლეობა მიხვდა, რომ ხელი მიწის დამუშავებისათვის უნდა მოეკიდნა და დავით ნასრაშვილმაც ძალები სოფლის მეურნეობისაკენ მიმართა. ხნავდა, თესავდა, იმკიდა ზოგს თავისას, ზოგს ნათხოვარ-ნაქირავებს. მერე შხამქიმიკატების მაღაზიის საჭიროება დაინახა და პარალელურად ამ საქმესაც შეეჭიდა. გადიოდა წლები, ოჯახი ცდილობდა, დანაზოგი დაეგროვებინა, რომ სამომავლოდ რაიმე ახალი საქმე წამოეწყო. ასეც მოხდა, თუმცა, ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბროთ. ახლა კი გავიცნოთ დათო და მისი ოჯახი:

დათო წარმოშობით ზემომაჩხაანიდანაა. ამ სოფელში გაიზარდა მისი მეუღლე მანანა ცხვედიაშვილიც. დათომ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტოსაინჟინრო ფაკულტეტი დაამთავრა და, ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს, ავტოსატრანსპორტო პარკის (ატეკა) მთავარ ინჟინრად დაინიშნა. მანანამ ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს მიაშურა, ერთი გამოცდით ჩაირიცხა და თერაპიის ფაკულტეტი, სამკურნალო საქმის განხრით, დაამთავრა. მერე კვალიფიკაცია ნევროლოგიაში გაიარა და 1998 წლიდან რაიონის ერთ-ერთი წამყვანი ნევროლოგია. მისი კაბინეტის კედლებს მრავალი სერთიფიკატი ამშვენებს და თუ ვინმეს ჭკუა ეკითხება ამ საქმეში, ეს მანანა ექიმია. დათომ და მანანამ სიყვარულით შექმნეს ოჯახი და კარგი ოჯახიც. სამი საუკეთესო ვაჟი გაზარდეს. უფროსი, ლევანი საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტია, სულ ახლახანს დაქორწინდა. მისი რჩეული მარიამ გრიგალაშვილი გახლავთ. წარმატებული ახალგაზრდები არიან და, ეჭვგარეშეა, ოჯახსაც სანაქებოს შექმნიან, გამრავლდებიან. ოჯახს ტყუპები, ნიკა და ბექა აგვირგვინებენ, ისინი 28 წლისები არიან და დაოჯახებას არ ჩქარობენ, რადგან ჯერ საკუთარი საქმეების დალაგებას ცდილობენ.

ნიკა სოციოლოგია, NDI-ს თანამშრომელია და დედაქალაქში ცხოვრობს. ბექა 2017 წლიდან დედოფლისწყაროში დაბრუნდა და მშობლებთან ერთად ძალიან სერიოზულ საქმეს მოჰკიდა ხელი. ის სპეციალობით ფილოსოფიის ბაკალავრია, პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრი, განწონასწორებული, დინჯი, განათლებული და ფართო დიაპაზონის მოაზროვნე. ახლა მეღვინეობა-მევენახეობის საქმითაა დაინტერესებული და ამ დარგის მაგისტრის წოდების მოსაპოვებლად კავკასიის უნივერსიტეტში აპირებს სწავლის გაგრძელებას, ერთი წლით გერმანიაში გაცვლითი პროგრამით პრაქტიკის გავლაც მის სამომავლო გეგმებშია. ახლა კი გავეცნოთ საქმეს, რომელიც ამ ოჯახმა წამოიწყო და, რომ არა შეფერხებები პანდემიის გამო, უფრო მეტი წარმატება ექნებოდათ. დათომ იმ „უპერსპექტივო“ მიწის ნაკვეთზე, რომლის შესახებაც ზემოთ გესაუბრებოდით, საჭიროებიდან გამომდინარე, მარცვლეულის საწყობის აშენება გადაწყვიტა და ნაკვეთის გასუფთავება დაიწყო, ასობით მანქანა ნაგავი გაიტანა და ოჯახის დანაზოგით საწყობის მშენებლობა მოათავა, მაგრამ საკმაოდ დიდი აუთვისებელი სივრცე დარჩა და თავად მდებარეობა მოითხოვდა რაღაც კიდევ სხვას. ასე დაიბადა მარნის და საკონფერენციო დარბაზის აშენების იდეა. ამას კი უკვე ახალგაზრდული ენერგია, თანამედროვე კომუნიკაციების ცოდნა და გამბედაობა სჭირდებოდა. სწორედ აქედან ჩაერთო საქმეში ბექა და დედაქალაქიდან მშობლიურ რაიონში დაბრუნდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ბიზნესისთვის იაფასიანი აგროსესხების და გრანტების მოპოვების პერსპექტივა გაჩნდა. საკუთარი უძრავი ქონების და გონივრულად წარდგენილი ბიზნეს-გეგმების საშუალებით ბექამ ფინანსების მობილიზება შეძლო და ჯერ მარანი და საკონფერენციო დარბაზი აშენდა, შემდეგ ქვევრების მარნის მოთხოვნილება გაჩნდა, ამან სადეგუსტაციო დარბაზის აუცილებლობა გააჩინა და თანდათან შეივსო ეს სივრცე, რომელიც ოდესღაც გამოუყენებელი და უპერსპექტივო ჩანდა.დაღმართიანმა ადგილმა მშენებლობის ტერასული განლაგება მოითხოვა და დღეს აქ ძალიან ლამაზი და გამორჩეული არქიტექტურული კომპელქსია, რომლის დიზაინერიც თავად ბექაა. ქვევრების მარანი 30 ტონაზეა გათვლილი და, ძირითადად, ქართულ ტრადიციულ მოტივებზეა შესრულებული, რომელიც მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი ღვინის საცავი, სადაც 32 ტონის ტევადობის უჟანგავი რეზერვუარები დგას თავისი ყველა ატრიბუტით, ჰაერის გამაგრილებელი სისტემით, ჩამოსასხმელი ხაზით, რომელიც 2018 წელს ევროკავშირის დაფინანსებით (გრანტი) იქნა შეძენილი. ეს ყველაფერი პირველ სართულზეა, მეორე სართულს კი სადაც 30 კაცზე გათვლილი საკონფერენციო და 20 კაცისთვის განკუთვნილი სადეგუსტაციო დარბაზია განთავსებული, ლამაზი ღია კიბით ვუკავშირდებით. აქ ყველაფერი თანამედროვე, ევროპულ სტილშია გადაწყვეტილი, სოცრად ლამაზი და მდიდრულია, ყველა ღვინოს თავისი კუთვნილი „ბოკალი“ აქვს, რათა დეგუსტაციისას სწორედ ის სურნელი და გემო შეიგრძნოთ, რომელიც ასე საინტერესოა ღვინის მცოდნე ადამიანისთვის. დღეს აქ აწარმოებენ როგორც ტრადიციულ ქვევრის, ასევე კლასიკური ტექნილოგიით დაყენებულ ღვინოებსა და საექსპერიმენტო ხაზიც აქვთ. 14 სახეობის ღვინო მზადდება 8 ჯიშის ყურძნისაგან. ორიგინალურ ბოთლებს ეტიკეტებიც განსხვავებული აქვს. მაგალითად: რქაწითელს წითელრქიანი მარტორქა ახატია, ხაშმის საფერავს პატარა დევუკა ამშვენებს,რადგან,ხაშმელებს მიაჩნიათ, რომ საფერავი დევის სისხლია. საექპორტო მუსკატს ბექას ნახევრად კარიკატურული პორტრეტით და წარწერით - „ბექას ღვინო“ გამოიცნობთ, საფერავის ერთი ხაზი ფერად-ფერადი ხეებით გამოირჩევა, ძველ კახურ ღვინოებზე, რომელიც გადაშენების პირას იყო, ქართული ანბანია დატანილი, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ეს ჯიშები და კახური ღვინოები ისეთივე მარადიული და უკვდავია, როგორც ქართული ანბანი.

–ბექა, რამდენია თქვენი ქარხნის წლიური წარმადობა დღეს და რომელ ბაზარზე გადიხართ?

-წლიური წარმადობა 40-50 ათასი ბოთლია და შიდა ბაზართან ერთად, ჯერჯერობით, ხუთ ქვეყანაში- ამერიკაში,იაპონიაში, ჩეხეთში,გერმანიასა და უკრაინაში იყიდება ჩვენი ღვინოები. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ჰოლანდიასთან, სამხრეთ კორეასა და ლიეტუვასთან. რომ არა პანდემია, დღეს უფრო მეტი კავშირები გვექნებოდა და წარმადობაც გაიზრდებოდა. თუ ცხოვრება ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდა, 3-5 წელში 200 ათას ბოთლზე შეგვიძლია გავიდეთ.

-ადგილზე თუ შეუძლია მსურველმა ღვინო შეიძინოს თქვენთან და რა ფორმით?

-ღვინო ჩვენთან ბოთლებში ჩამოსხმულიც იყიდება და ლიტრობითაც. ეს მყიდველის მსურველზეა დამოკიდებული.

-ყურძენი საიდან მოგაქვთ, თქვენი ვენახები გაქვთ თუ იბარებთ?

-არა, არ ვიბარებთ, „ჩაბარებას“ ცოტა სხვა დატვირთვა აქვს. ჩვენ ყურძენს ვყიდულობთ, მაგრამ არა ყველგან და არა ყველასგან. შესყიდვისას სამივე კომპონენტი უნდა მომეწონოს: ყურძენი, ვენახი და მევენახე. ყველა ჯიშს თავისი ლოკაცია აქვს. მაგალითად, მუსკატს ფიროსმანში ვყიდულობთ, საფერავს- არხილოსკალოში, თავკვერს-კასპში. უკვე საკუთრებაში გვაქვს 5 ჰექტარი ვენახი, სადაც გაშენებულია რქაწითელი, ხიხვი, ქისი,საფერავი,შავკაპიტო, ჩინური და თავკვერი. შემდგომში ვენახების გაშენება ჩვენთვის პრიორიტეტია.

-კონკურსებსა და ფესტივალებში თუ ღებულობთ მონაწილეობას და რა შედეგები გაქვთ?

-პანდემიასთან დაკავშირებით, მოგეხსენებათ, შემცირდა მსგავსი ღონისძიებები. მანამდე, 2018 წელს საქართველოში ჩატარებული ქვევრის ღვინის საერთაშორიო კონკურში რქაწითელმა ვერცხლის, ხოლო საფერავმა ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა. 2019 წელს რქაწითელმა მუსკატმა და საფერავმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. 2021 წელს ევრაზიის ღვინის საერთაშორისო კონკურსზე გაგზავნილი გვაქვს რქაწითელი და მუსკატი. შედეგებს ველოდებით. ჩვენ მზად ვართ, ნებისმიერ ღონისძიებაში მონაწილეობის მისღებად და წარმატების იმედიც გვაქვს, რადგან ჩვენ ვმუშაობთ ხარისხზე და არა რაოდენობაზე.

-რას სთავაზობთ ტურისტებს და რას გეგმავთ სამომავლოდ?

-დღეს ჩვენ ტურისტებს ვთავასზობთ ღვინის დეგუსტაციას, ლანჩს, ინფოტურს მარანში, სადაც ქართული ღვინის ისტორიას ვაცნობთ, პერპექტივაშია გარესადეგუსტაციო სივრცის და ეთნოგრაფიული კუთხის მოწყობა. ამას დაემატება სამზარეულოს მასტერკლასები-არყის გამოხდა, ჩურჩხელების ამოვლება, თონის პური და სხვა. თუმცა, ძირითადი ხაზი მაინც ღვინოა და კლასიკურია. ყველა ღვინოს თავისი ჭიქა აქვს, თავისი ტემპერატურა, გვინდა და ვცდილობთ, სრული ინფორმაცია მივაწოდოთ ღვინის შესახებ. მთავარია, ტურიზმი განვითარდეს ჩვენს რაიონში, სადაც უამრავი გამოუყენებელი რეზერვია. მაგალითად, მხოლოდ ქალაქში ოთხი მარანია და ყველა თავისი კუთხით საინტერესოა, ისტორიული ძეგლები გვაქვს, საოჯახო რესტორნები და სასტუმროებია. ამ ყველაფერს ერთმანეთთან დაკავშირება და ტურისტული ხაზის შექმნა ჭირდება, რაც ერთობლივ მუშაობას მოითხოვს. სასურველი და საჭიროა ვაშლოვანის ტურზე მიბმა და ყველა ინტერესის გაერთიანება. ამას ერთი კაცის ძალისხმევა არ ეყოფა, ტურისტულ სააგენტოსთან უფრო მეტი და კომპეტენტური მუშაობაა საჭირო. ჩვენი რაიონი ამ კუთხით ნაკლებად ვითარდება, პერპექტივა კი ნამდვილად არის. სამუშაო პირობებიც რთულია. ხშირად ითიშება ელექტროენერგია საათობით. ეს კი იწვევს საცავში ტემპერატურის მერყეობას, რაც დაუშვებელია და ვნებს ღვინოს. ისედაც ძალიან ძვირადღირებული და ხარჯიანი გამაგრილებელი სისტემა მიდგას და მინდა თუ არ მინდა, მაქვს თუ არა მაქვს ფინანსები, მაინც ვახერხებ, დროულად და ზუსტად ვიხდი გადასახადს, თუმცა, ელექტრომომმარაგებელი ხელშეკრულებას რომ არღვევს და დენის მოწოდება მიწყდება, პასუხისმგებლობას არ იღებს თავის თავზე. ამხელა წარმოებას ვერენაირი გენერატორით ვერ ჩაანაცვლებ. ასევეა წყლით მომარაგება. სამ დღეში ერთხელ წყალი რომ მოვა, განა რამდენი მარაგის აღება შეიძლება, რომ გამართულად იმუშაო?! ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, თანდათან მდგომარეობა გაუმჯობესდება, მთავარია ტურისტულმა ნაკადმა მოიმატოს, დავძლიოთ კოვიდი და ცხოვრება ჩვეულ რეჟიმში ჩადგეს.

-ბექა, მომსახურება ფასიანია, მაგრამ თუ არის განსხვავება ადგილობრივი და შემოსული ტურისტებისთვის ?

რა თქმა უნდა, იმის გამო, რომ მომსახურების პაკეტი ყველა შემომსვლელისთვის ერთნაირია, ფასიც ერთია, ზოგადად კი, ხელმისაწვდომია.

* * *

ერთი სიტყვით, მინდა გითხრათ, რომ შეაღებთ თუ არა დიდ ჭიშკარს, რომელსაც ამშვენებს აბრევიატურა „ნასრაშვილების საოჯახო მარანი“ თქვენ მოხვდებით ლამაზ, კომფორტულ გარემოში, ნახავთ და გაიგებთ ბევრ რამეს ღვინის და მასთან მიმართებაში ქართული ტრადიციების შესახებ. ეწვიეთ, კმაყოფილი დარჩებით.

საკონტაქტო ტელეფონი: 555 225507

წარმატებებს უსურვებ ნასრაშვილების საოჯახცო ბიზნესს. ეს მარტო ერთი ოჯახის სიძლიერე კი არა ქვეყნის სიძლიერეა!

ნაირა გორაშვილი

„ყოველ ახალ თაობას საკუთარი სიახლე მოაქვს"...

ნუგო ყარაგვეზაშვილი დედოფლისწყაროელია. ის აქ დაიბადა და გაიზარდა. სამრეკლოს საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლება მიიღო. დღეს ის კვლავ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა და ცდილობს, თავისი განათლება მუნიციპალიტეტს მოახმაროს. გაზეთი „შირაქი" მას თანამედროვე ახალგაზრდობის პრობლემებზე ეასუბრა.

მინი-დოსიეს ნაცვლად:

საყვარელი წიგნი, მწერალი, ნაწარმოები.

- საყვარელი მწერალი დოსტოევსკი, თუმცა საყვარელი ნაწარმოები. .. გაგეღიმებათ.. „პატარა უფლისწული".

საყვარელი მუსიკა, კომპოზიტორი.

- ასე კონკრეტულად საყვარელი მუსიკა არ მაქვს, ვუსმენ განწყობის შესაბამისად.. საყვარელი მუსიკაა ის, რომელიც სასიამოვნო მოგონებებს აღვიძებს..

ხელახლა რომ დაიწყოთ ცხოვრება რას შეცვლიდით?

- მნიშვნელოვან არაფერს, მიმაჩნია, რომ ცხოვრებაში ყველა მოვლენას თავისი მიზეზი და მიზანი აქვს. ალბათ გარკვეულ ასაკში განვლილ დროს სხვა მიმართულებას მივცემდი.

თქვენი ყველაზე დიდი სიმდიდრე..

- ოჯახი, ეს ჩემთვის ყველაფერია.

როდესაც გიხარიათ..

სამყაროს სხვა ფერებში აღვიქვამ.

როდესაც გწყინთ..

-ყოველთვის მაქსიმალურად ვცდილობ, წყენა არ შევიმჩნიო და არ ვაგრძნობინო ადამიანს, რომ რაღაც მეწყინა.. ვეძებ მიზეზს მის გასამართლებლად.

თქვენი ჰობი..

- ჰობი ბევრი მაქვს, თუმცა გამორჩეულად, რაც ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს არის მოგზაურობა (საბედნიეროდ უკვე 16 -ზე მეტ ქვეყანაში ვარ ნამყოფი)

ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი.

- სიყვარული.

ყველაფერი ფერმკრთალდება როცა...

- ქრება იმედი.

***

ნუგო, რა პრობლემების წინაშე დგახართ ახალგაზრდები?

-ახალგაზრდების წინაშე არსებული პრობლემები საკმაოდ კომპლექსურ ხასიათს ატარებს, რთულია, თავი მოუყარო ყველაფერს ერთად, მაგრამ უნდა ავღნიშნო, რომ ეს პრობლემები არამხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშიც დგას. სპორტული საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად მიწევს მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყანაში, პრობლემები იდენტურია, თუმცა სხვადასხვა ხარისხსა და მნიშვნელობას ატარებს, რაც ძირითადად განპირობებულია სოციალური და პოლიტიკური ვითარებით.

დავუბრუნდეთ საქართველოს- პირველი უმთავრესი პრობლემა რაც მიმაჩნია, რომ სხვა მომდევნო გამომწვევი პრობლემების საფუძველია, ეს არის ახალგაზრდებში მიზნის არ ქონა. ასე ვთქვათ, არ ვიცით, რა გვინდა, რა უნდა გავაკეთოთ მიზნის მისაღწევად. ეს საკითხი ჩვენი მომავალი ცხოვრებისთვის უპირველესია. შესაბამისად, აქედან იწყება ყველაფერი. 17-18 წლის ასაკში გაუაზრებლად ვირჩევთ პროფესიას, ვიღებთ უმაღლესს განათლებას ამ მიმართულებით, ხოლო ოთხწლიანი სწავლის შემდეგ აღმოვაჩენთ, რომ ეს წლები ტყუილად დავკარგეთ. ის, რასაც ვსწავლობდით, სრულებითაც არ ყოფილა ჩვენი მიზანი. ამას მოჰყვება შემდეგი პრობლემა, საზოგადოებაში საკუთარი თავის პოვნა, ორიენტირება გარემოში, სტატუსის განსაზღვრა, ეს უმეტესწილად ახალგაზრდული წლების ტრაგედიაა. შემდეგია განათლების სისტემა. სრულფასოვანი განათლების მიღების პრობლემა დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია, ეს ეხება ყველა დონეს- დაწყებული სკოლიდან, დამთავრებული უმაღლესით. საუნივერსიტეტო განათლება არ არის საკმარისი პროფესიონალური კადრის ჩამოსაყალიბებლად. შესაბამისად, ბაკალავრის საფეხურის დასრულების შემდეგ ჩიხში ვექცევით, ახალგაზრდების უმრავლესობას არ აქვს შესაბამისი კომპეტენცია შრომით ბაზარზე დამკვიდრებისთვის და, შესაბამისად, უჭირთ სტაბილური სამსახურის დაწყება. ასევე საზღვარგარეთ განათლების მიღების აქტუალურობა, რაც თითქმის ტრენდად იქცა- თუ გინდა კარგი სამსახური, ევროპის რომელიმე უნივერსიტეტში გავლით მაინც უნდა იყო ნამყოფი, რატომღაც შეუვალ საკითხად იქცა, რომ მსოფლიოს ყველა სასწავლო დაწესებულება უმაღლესი დონისაა და ახალგაზრდა, რომელიც შეიძლება სულ ერთი თვით იყო ნამყოფი, უმაღლესი განათლებით ფასდება.

დასაქმების პრობლემა, აქ აღარ ვგულისხმობ კარიერის შექმნას, საუბარია თუნდაც სტუდენტობის პერიოდზე, სამსახური რომელიც მისცემდა მას გამოცდილებას და გარკვეულწილად მშობლებისგან ფინანსურ დამოუკიდებლობას, დღევანდელი შრომითი ბაზარი მოიცავს ძირითადად მომსახურების სფეროებს რომელიც შესასრულებელი საქმიანობითა და ანაზღაურებით პლანეტარული მანძილით არის ერთმანეთისგან დაშორებული. რომ გავაგრძელო საკმაოდ ბევრ თემას შევეხები, ვფიქრობ ეს ძირითადი პრობლემებია რაც ადამიანის მომავლისთვის ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

როგორ ფიქრობთ, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ახალგაზრდების ცხოვრება მომხიბვლელი გახდეს დედოფლისწყაროში?

-დედოფლისწყარო საქართველოს საზღვრისპირა რაიონია, ასე ვთქვათ „აღმოსავლეთის კარიბჭე" სიდიდით აჭარის ა.რ- ზე დიდი და საქართველოში გამორჩეული ფლორა-ფაუნით, საკმაოდ მაღალი პოტენციალის მატარებელი საერთაშორისო და ადგილობრივი ტურიზმის განვითარებისთვის. ქვეყნისთვის საპასუხისმგებლოა საზღვრისპირა რაიონი იყოს ძლიერი, მჭიდრო მოსახლეობით და ძლიერი გენოფონდით.. სამწუხაროდ დედოფლისწყარო საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად განიცდის დაცარიელებას.. ნაწილი საზღვარგარეთ მიდის, ნაწილი დედაქალაქში ეძებს სამსახურს და გადადის.. სამწუხაროდ ახალგაზრდების უმეტესობას (მათ შორის მეც იმ ასაკში), სკოლის დამთავრების შემდეგ ერთი სული აქვს დატოვოს დედოფლისწყარო და გამოეშუროს დედაქალაქისკენ.. ახალგაზრდებს არ აქვთ პოტენციალი, ადგილზე მიიღონ განათლება, დასაქმდნენ სამსახურში, მოახდინონ იდეების რეალიზება, ამიტომ იძულებულები არიან, მიიღონ ეს გადაწყვეტილება. ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ჩვენს ქალაქს ექნებოდა უმაღლესი სასწავლებელი, როგორც თელავს და სხვა ქალაქებს, ეს მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა პრობლემის გადაჭრაში.

ქართველებს გვიყვარს პრობლემის სხვისთვის გადაბრალება, როგორც ჩვენთან ამბობენ „ჯოხის სხვაზე გადატეხვა", ხელისუფლებაზე, კონკრეტულ ადამიანებზე და ა.შ თუმცა, უნდა გვესმოდეს, რომ არსებობს თემები, რომლებზეც თავად საზოგადოებამმნმნმმ უნდა იმუშაოს.. სამოქალაქო საზოგადოება დედოფლისწყაროში ძალიან სუსტია, არ გამოირჩევა სოციალურ-პოლიტიკური აქტივობებით, რასაც საბოლოოდ ამ შედეგამდე მივყავართ... საჭიროა საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა, უნდა ჩამოყალიბდეს იდეები, გაიზარდოს მოქალაქის სოციალური როლი. ჩვენს რაიონს აქვს ამის ადამიანური რესურსი, საჭიროა მხოლოდ გაერთიანება.. შემდეგ დარწმუნებული ვარ, ერთობლივი მუშაობით გამოინახება სხვადასხვა გზები..

ამ ბოლო დროს სოციალურ ქსელში ვნახე, რომ თქვენ ახალი ინტერესი გაქვთ. რამ განაპირობა ახალი გატაცება?

- განსაკუთრებული არაფერი, არის მომენტები, როდესაც განწყობა მიქმნის სურვილს, წერის, ხატვის, ხელობის, ფოტოგადაღების.. ამას ყოველთვის ვერ ვაკეთებ, ემოციების დაგროვებაა საჭირო. ასე იყო ისიც, რასაც თქვენ აღნიშნავთ.. საღამოს მზის ჩასვლისას, ეზოში დაგდებული ძველი ხის კუნძი შევნიშნე და.... თუმცა იქამდე არასოდეს მიცდია მსგავსი რამ..

სპორტი და ახალგაზრდობა-რას იტყოდით, რამდენად პოპულარულია დღევანდელ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების სტილი?

- ბოლო პერიოდმა, პანდემიამ რომელმაც მსოფლიო მოიცვა და შეძრა დაგვანახა, რომ ჯანმრთელობა ნომერ პირველი პრიორიტეტია, ხოლო ჯანმრთელი ორგანიზმის საწინდარი სწორედ სპორტი და ფიზიკური აქტივობაა.. სამწუხაროდ, ქვეყანაში ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის 75% - ზე მეტი არ არის დაკავებული არანაირი სპორტული აქტივობით, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. სამაგიეროდ გაზრდილია სხვადასხვა სახის ნარკოტიკულ, ალკოჰოლურ საშუალებებზე დამოკიდებულება, განსაკუთრებით არასრულწლოვნებში და 30 წლამდე ახალგაზრდებში.. ფაქტიურად, ქვეყნის გენოფონდი მავნე ჩვევების გამო განადგურების საფრთხის ქვეშაა. ამის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელი, უნდა იწარმოოს სხვადასხვა სახის კამპანია, რომელიც მხოლოდ ფორმალური სახის მატარებელი არ იქნება.. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ადამიანები, ვინც სამაგალითოდ უნდა წარმოჩნდნენ და ქვეყანამ საკუთარ სახედ უნდა გამოიყენოს, რომლებიც მთელ ცხოვრებას უძღვნიან სპორტის პოპულარიზაციას, იცავენ ქვეყნის სახელს საერთაშორისო ასპარეზზე, დაფასების მაგივრად ირონიის მსხვერპლები ხდებიან.. ხშირად მსმენია.. „ნეტა რა ყრია." „რას ეკვლევინები." და ა.შ. რასაც მოყვება გულის აცრუება, იმედის დაკარგვა. ამიტომაა, რომ ხშირად ჩვენი სპორტსმენები სხვა ქვეყნის სახელით იწყებენ ასპარეზობას...

სპორტი ადამიანში ანვითარებს დადებით თვისებებს, ბავშვები სწავლობენ შეცდომების აღიარებას, გამარჯვების პასუხისმგებლობას, მარცხთან განმკლავებას და ა,შ. ამიტომ ყველას მოვუწოდებ ჩაერთონ სპორტში და იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით. საბედნიეროდ, ჩვენი რაიონში არსებული სიტუაცია გვაძლევს იმის ფუფუნებას, ვიამაყოთ მრავალი წარმატებული სპორტსმენით მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებით..

რამდენად აქტუალურია თქვენს თაობაში მამათა და შვილთა ბრძოლა?

-თაობათა შორის „დაპირისპირება" კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის აქტუალური იყო.. ჯერ კიდევ ქრისტეს შობამდე 2000 წლის წინ ერთ-ერთი ეგვიპტელი ქურუმის დაწერილ ტექსტში ვკითხულობთ, თუ რა ცუდი თაობა იზრდებოდა, როგორ არ სცემდნენ ტრადიციებს პატივს... მრავალი მაგალითი არსებობს საქართველოს ისტორიაშიც, თუნდაც ლაშა-გიორგის მმართველობის პერიოდი, თერგდალეულები და ა. შ. რაც საკმაოდ ბუნებრივად მიმაჩნია.

ვერ ვიტყვი, რომ დღეს ჩვენი და მამათა თაობა ორ დაპირისპირებულ მხარეთ ვართ დაყოფილი, ვფიქრობ მაინცდამაინც ასე მძაფრად არ დგას ეს საკითხი. მაგრამ როგორც ყველა დროში, არც ჩვენ ვართ გამონაკლისები.

ფაქტი ერთია.. მამათა თაობას არასოდეს მოსწონს შვილების თაობა, მაგრამ ამის მიუხედავად, მსოფლიო მიდის პროგრესისკენ... ყოველ ახალ თაობას საკუთარი სიახლე მოაქვს.

მთავარია, შევძლოთ საუბარი, ურთიერთპატივისცემა და გვქონდეს საერთო აზრამდე მისვლის სურვილი. არ შეიძლება ვთქვათ, რომ მამათა თაობა ყოველთვის ტყუის ან ჩვენ, შვილები, ყოველთვის მართლები ვართ, ორივე ვილტვით შევქმნათ უკეთესი.. რამდენიმე თაობას ერთად გვინევს ცხოვრება ამიტომ ერთმანეთისკენ სახით უნდა ვიყოთ შებრუნებულები, რომ შევძლოთ საერთო ძალისხმევით უკეთესი მომავალის შექმნა.

რის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ ცხოვრება?

პასუხს ასე დავიწყებ: „და კვლავ მზადა ვარ უარეს დღისთვის, თუმცა უკეთეს დღეებზე ვფიქრობ".

ცხოვრება იმედის გარეშე.. იმედი ადამიანის მამოძრავებელი მთავარი ძალაა, რომელსაც ემყარება ყველა ჩვენი მიზანი, ოცნება და ფიქრი. საათის ისრის ყოველი მოძრაობა იმედითაა დატვირთული, ამ გრძნობით ვლახავთ ცხოვრებაში არსებულ სირთულეებს და დაბრკოლებებს. გვაქვს იმედი - ვცოცხლობთ. ცხოვრება იმედის გარეშე უფსკრულის პირას დგომაზე უარესია.

რა არის შენთვის თავისუფლება?

ზოგადად თავისუფლება არის მდგომარეობა და მოთხოვნილება, რომელიც ყველა ცოცხალ ორგანიზმს უჩნდება დაბადებისთანავე. ამ თემაზე დაუსრულებლად შეგვიძლია საუბარი, რადგან ინდივიდუალურია ყველა ადამიანისთვის.

ჩემთვის თავისუფლებაა, როდესაც შემიძლია ჩემი მიზანი და სურვილი ვაქციო რეალობად, როდესაც არ მაქვს შიში საკუთარი აზრის გამოხატვის და არ ვარ მოქცეული მკაცრ ჩარჩოებში. მაქვს შესაძლებლობა, აღმოვაჩინო ჩემი თავის საუკეთესო ვერსია. ეს რაც შეეხება პიროვნულ თავისუფლებას.. ამის გარდა თავისუფლება კიდევ სულიერი მდგომარეობაცაა, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს..

თავისუფლება გულისხმობს თუ არა პასუხისმგებლობას?

რა თქმა უნდა, თავისუფლება თავის მხრივ პასუხიმგებლობაცაა, იგი არ უნდა სცილდებოდეს მორალურ ჩარჩოებს, ადამიანის გონებას ძალიან დიდი შესაძლებლობები აქვს, ამიტომ საზღვრებიდან გაუსვლელობა მნიშვნელოვანია, თუ შენი თავისუფლება სხვისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მორალური ზიანის მომტანი შეიძლება იყოს.

რა უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის - გამოცდილება თუ სიახლე?

-ვფიქრობ, ორივე ფაქტორი მნიშვნელოვანია. სიახლეს სწორი მიმართულება რომ მიეცეს, გამოცდილებაა საჭირო, ცალკე მხოლოდ გამოცდილება და ცალკე მხოლოდ სიახლე არაფრისმომცემია, ერთობლივად კი მომავლის სწორი ჩამოყალიბებაა შესაძლებელი.

პოლიტიკა და ახალგაზრდობა. რამდენად პოლიტიზირებულია თქვენი თაობა?

საქართველო ახლად შემდგარი დემოკრატიული სახელმწიფოა, სულ რაღაც ორ-სამ ათეულ წელს ითვლის და ამ წლების განმავლობაში მრავალი პოლიტიკური მოვლენის მომსწრენი გავხდით.. პირველი პრეზიდენტის გაძევება, მეორე პრეზიდენტის აფეთქების მცდელობები.. სიბნელე და უმოძრაობა, რევოლუცია, ომი, აქციები, დარბევები, ძალადობრივი რეჟიმი, გაუთავებელი ღალატი გუნდისა და იდეის, ერთმანეთის მიმართ ბრძოლა.. არაა გასაკვირი, ამ პროცესებმა ახალგაზრდებში პოლიტიკის მიმართ ნიჰილიზმის ტენდენცია გააჩინა.. პოლიტიკა იქცა „ბინძურ საქმედ",

/გაგრძელება გვ.6/

მინიმალური ხელფასი და შრომის ბაზარი საქართველოში

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ დღის წესრიგში დააყენა მის მიერ გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური შედეგები, და შექმნა პოლიტიკური გამოწვევა, თუ როგორ, და სოციალური დაცვის რა მექანიზმებით უნდა უპასუხონ მთავრობებმა პანდემიით გამოწვეულ სოციალურ კრიზისს. მინიმალური ხელფასი ისტორიულად სოციალური დაცვის იმგვარ მექანიზმს წარმოადგენს, რომელმაც დაბალანაზღაურებადი მშრომელები და მათი ოჯახები სიღარიბისგან უნდა დაიცვას. სტატიაში მიმოვიხილავთ მინიმალური ხელფასის სხვადასხვა ასპექტს.

რა არის მინიმალური ხელფასი

მინიმალური ხელფასი განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების იმ მინიმალურ ოდენობას, რაც დამსაქმებელმა შეუძლია გადაუხადოს დასაქმებულს ქვეყნის, რეგიონის ან ინდუსტრიული სექტორის მასშტაბით. მინიმალური ხელფასი ამდენად შესაძლოა შემუშავებულ იქნას ზოგად ეროვნულ, (ანუ ქვეყნის), ცალკეული ინდუსტრიის, ან პროფესიული ჯგუფების (ოცცუპატიონალ გროუპს) დონეზე კოლექტიური მოლაპარაკების ხელშეკრულების (CBAs) საფუძველზე. ინდუსტრიის დონეზე შემუშავებული მინიმალური ხელფასი, როგორც წესი, არ უნდა ჩამოუვარდებოდეს ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ მინიმალურ ხელფასს. მინიმალური ხელფასი დღეისათვის ქვეყანათა უმრავლესობაში არსებობს.

მინიმალური ხელფასის ფუნქცია და სამიზნე ჯგუფი

მინიმალური ხელფასის მექანიზმი პირველ რიგში, განკუთვნილია დაბალანაზღაურებადი შრომის ბაზრისთვის და მიზნად ისახავს იმ დასაქმებულთა შრომითი ექსპლუატაციისაგან დაცვას, ვინც კაპიტალისტურ ეკონომიკებში დაბალანაზღაურებად შრომას ეწევიან. თავის მხრივ, კაპიტალისტურ ეკონომიკებს სრული დასაქმება არ ახასიათებთ და სრული დასაქმებისკენ არც მიისწრაფვიან. ასეთ ეკონომიკებში, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მაინც რჩება ხოლმე არსებული შრომის ბაზრისათვის შეუსაბამო და შესაბამისად ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღმა — ანუ უმუშევარი. მაგალითად, 2019 წლის მონაცემებით, ოფიციალური უმუშევრობა საფრანგეთში 8.4%-ია, გერმანიაში - 3.5%, ხოლო თურქეთში 14.3%. როდესაც დასაქმების ბაზარი საბაზრო ძალებით იმართება, ასეთ დროს უმუშევრები საკუთარ სამუშაო ძალას ბაზარზე დამკვიდრებულ ფასად ჰყიდიან. იმ სფეროებში კი, სადაც სამუშაო ძალის ჭარბი მიწოდებაა, კონკურენტულად მოიაზრება არა მხოლოდ კვალიფიციური, არამედ დაბალი ფასის მქონე შრომა. ამგვარ ვითარებაში, საბაზრო პროცესი, და საბაზრო ძალაუფლების მქონე აქტორები, ხელფასს მაქსიმალურად უმცირებენ იმ სამუშაო ძალას, რომელიც ბაზარზე არსებული დამსაქმებლის მოთხოვნებს ყველაზე ნაკლებად აკმაყოფილებს — ასეთები შეიძლება იყვნენ ნაკლებად კვალიფიციური მუშახელი, შედარებით გამოუცდელი ახალგაზრდები, ქალები და ა.შ. ასეთ ვითარებაში, თუ ხელფასის შემცირების დაწესებული მინიმალური ზღვარი არ არსებობს, ხელფასი შესაძლოა შემცირდეს უკიდურეს ზღვრამდე, რა დროსაც დასაქმებული ადამიანების ექსტრემალური სიღარიბის საფრთხე დგება. ამდენად, მინიმალური ხელფასის იდეა, ხელფასის ქვედა, მინიმალური ზღვრის დაწესებით, წარმოადგენს შრომის ბაზრის რეგულაციის იმგვარ მექანიზმს, რომელიც მიმართულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ კაპიტალისტურ ეკონომიკებში დაბალშემოსავლიანმა მუშახელმაც მიიღოს სარგებელი ეკონომიკური ზრდით — ანუ საშუალო ხელფასის ზრდასთან ერთად გაიზარდოს მისი ხელფასიც.

როგორ ითვლება მინიმალური ხელფასი

მინიმალურ ხელფასს სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვანაირად თვლიან. უმეტეს ქვეყნებში, მინიმალური ხელფასი საკანონმდებლო დონეზე რეგულირდება: ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელფასის წარმომქმნელ მექანიზმში ერთვება და კანონით განსაზღვრავს, თუ რა უნდა იყოს ხელფასის მინიმალური ოდენობა. საკანონმდებლო რეგულაცია შესაძლოა შეეხებოდეს ქვეყნის მასშტაბით ყველა სახელფასო შემოსავლის მქონე დასაქმებულს, ან კონკრეტულ პროფესიულ ჯგუფებს. როგორც წესი, მინიმალური

ხელფასის ზრდა ყოველწლიურად ხდება, და ის იცვლება ან ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო რეგულაციით, ან ინდუსტრიისა თუ პროფესიული ჯგუფების დონეზე კოლექტიური ხელშეკრულებების საფუძველზე.

დაბალანაზღაურებადი შრომის ბაზარი საქართველოში

გადავხედოთ თუ რა სიტუაცია და სახელფასო მაჩვენებლებია საქართველოში დაბალანაზღაურებად შრომის ბაზარზე: საქართველოს პრეზიდენტის, 1999 წლის 4 ივნისის ბრძანების მიხედვით, საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, სახელმწიფოს მიერ დაქირავებულ მუშაკთა სოციალური დაცვის მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, მინიმალური ხელფასი განისაზღვრა 20 ლარის ოდენობით. ამ ბრძანებით დადგენილი ნორმები დღესაც მოქმედებს და ფორმალურად, მინიმალური საათობრივი ანაზღაურება დღეისათვის ასე გამოიყურება: 40 საათიანი სამუშაო განაკვეთის შემთხვევაში, დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულს გადაუხადოს საათში არანაკლებ 0.13 თეთრისა. ხოლო 48 საათიანი სამუშაო განაკვეთის შემთხვევაში - არანაკლებ 0.10(4)-თეთრისა.

მიუხედავად იმისა, რომ რეალურად არსებული ხელფასები 20 ლარს აჭარბებს, საქართველოს შემოსავლების სამსახურის მონაცემების მიხედვით, ხშირია შემთხვევები, როდესაც შრომის ანაზღაურება საარსებო მინიმუმზე — ანუ დღეის მდგომარეობით თითქმის 197 ლარზე — დაბალია. მაგალითად. 2019 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში, საქართველოში 200 ლარზე ნაკლებ ხელფასს იღებდა საშუალოდ 69 080 ადამიანი. ბევრად მეტია იმ დასაქმებულთა რაოდენობა, რომელთა ხელფასიც 300-ს, 400-ს, ან 500 ლარსაც კი ჩამოუვარდება: 500 ლარს ქვემოთ სახელფასო ანაზღაურების მქონეთა რიცხვი მთლიანობაში მნიშვნელოვნად აღემატება 200 000 დასაქმებულს. რაც შეეხება ყველაზე დაბალანაზღაურებულ საქმიანობებს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, საქართველოში 2018 წელს, ყველაზე დაბალანაზღაურებადი დარგები იყო განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება, სასტუმროები და რესტორნები, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და ავტომობილებისა და საყოფაცხოვრებო ნაწარმის რემონტი, დამამუშავებელი მრეწველობა, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა, ნადირობა და სატყეო საქმიანობა.

საინტერესოა ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნების მდგომარეობა: ბოლო კვლევების მიხედვით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის საქართველოში არსებული მინიმალური ხელფასი ყველაზე დაბალია და მინიმუმ 9-ჯერ ჩამორჩება მეზობელი ქვეყნების მინიმალურ ხელფასს. მაგალითად, აზერბაიჯანში მინიმალური ხელფასი 76$-ია, სომხეთში 114$, მოლდოვაში 115%, უკრაინაში 123$, რუსეთში — 132$, ხოლო ბელორუსიაში — 155$.

მინიმალური ხელფასის შექმნის ისტორიული კონტექსტი

მიუხედავად იმისა, რომ მინიმალური ხელფასის სტანდარტი რიგ ქვეყნებში (მაგ. საფრანგეთში, ნორვეგიაში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიაში, ნორვეგიასა და დიდ ბრიტანეთში) უკვე არსებობდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნამდე, საერთაშორისო შეთანხმების დონეზე მისი ისტორია 1919 წლიდან, ანუ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნიდან იწყება. მინიმალური ხელფასის იდეის მხარდამჭერებმა, ორგანიზაციის პირველივე კონფერენციაზე წამოაყენეს ინიციატივა, რომ მომდევნო საკონფერენციო სესიას განეხილა მინიმალური ხელფასის დაწესება სხვადასხვა ინდუსტრიული სექტორებისათვის. იდეის ინიციატორებმა ამავე კონფერენციაზე მოითხოვეს შემდეგი პრინციპის დაფუძნება: „ადამიანის შრომა არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ გასაყიდ საქონლად და კომერციის იმგვარ ობიექტად, რომელიც ექვემდებარება მოთხოვნა-მიწოდების კანონს — უმუშევრობის პერიოდებში, შრომა არ უნდა ჩავარდეს არასათანადო ანაზღაურების რისკის ქვეშ იმ მიზეზით, რომ სამუშაო ძალა ასეთ დროს ჭარბია“.

მრავალეტაპიანი კვლევებისა და დისკუსიების შედეგად, 1928 წელს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ მიიღო მინიმალური ხელფასის კონვენცია და რეკომენდაცია: ამ დოკუმენტების მიხედვით, იმ სფეროებში სადაც არ არსებობდა სახელფასო განაკვეთის ეფექტური რეგულაციები, და ხელფასები უკიდურესად დაბალი იყო, სახელმწიფოს უნდა განესაზღვრა ხელფასის მინიმალური სტანდარტი. კონვენციამ სახელმწიფოებს მიანიჭა თავისუფლება, თავად განესაზღვრათ მინიმალური ხელფასის კონკრეტული ოდენობა დასაქმებულებთან და დამსაქმებლებთან კონსულტაციების შედეგად. თუმცა უმთავრესი აქ იყო ის, რომ მშრომელებს ჰქონოდათ შესაძლებლობა უზრუნველეყოთ „ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი.“ და ეს არა მხოლოდ იმ სფეროებში, სადაც მშრომელები ძლიერი ორგანიზების წყალობით აღწევდნენ კარგ კოლექტიურ ხელშეკრულებებს, არამედ იმ სფეროებშიც, სადაც შრომის ორგანიზება არ ხდებოდა.

მინიმალური ხელფასის მხარდამჭერი და საწინააღმდეგო არგუმენტები

თუ ეკონომიკურ პოლიტიკას ე.წ. “ნეოკლასიკური პარადიგმით” განსაზღვრავენ, მაშინ მინიმალური ხელფასი დასაქმებისათვის საზიანო მექანიზმად წარმოჩინდება ხოლმე. არგუმენტი აქ შემდეგია, რომ როდესაც შრომის საფასური იზრდება, კომპანიები მიდრეკილები არიან ზედმეტ გადასახადს თავი აარიდონ სხვადასხვანაირი გზებით. შესაძლებლობის შემთხვევაში ისინი ახორციელებენ შრომის ავტომატიზაციას, მოიხმარენ ნაკლებ შრომას, ამცირებენ სამუშაო საათებს, ჯერდებიან ნაკლებ მოგებას, ან საერთოდაც, შრომითი საქმიანობა გადააქვთ იმ ქვეყნებში, სადაც დაქირავებული მუშახელი ნაკლები უჯდებათ. ბიზნესის, როგორც რაციონალური ეკონომიკური აქტორის მიერ შესაძლო დანახარჯის თავის არიდების ამგვარი მიდრეკილების გამო მოჰყავთ ხოლმე მინიმალური ხელფასის წინააღმდეგ სამუშაო ადგილების შემცირების არგუმენტი.

თუმცა, ნეოკლასიკური პარადიგმის კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ (Hansjörg Herr – Kritik der neoklassischen Analyse von Mindestlöhnen) ამგვარი მიდგომა მხოლოდ მიწოდების ნაწილზეა ორიენტირებული და მხედველობაში არ იღებს მოთხოვნის ნაწილს და ამდენად, ცალმხრივი ანალიზად უნდა მივიჩნიოთ. უფრო კონკრეტულად, ის არ ითვალისწინებს მინიმალური ხელფასის გაზრდის მიერ წარმოქმნილ მოთხოვნას პროდუქტებზე და მის თანმდევ ეკონომიკურ შედეგებს. ანუ კრიტიკის მიხედვით, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მინიმალური ხელფასის აწევა ზრდის პროდუქტებზე აგრეგატულ მოთხოვნას, მაშინ უფრო ცხადი ხდება მისი პოზიტიური როლი და ფუნქცია დასაქმების პროცესში და მთლიან ეკონომიკურ პროცესებში.

მთლიანობაში კი, მინიმალური ხელფასის იდეა არ შეიძლება ჩაითვალოს ნულოვანი ჯამის თამაშად, სადაც ერთი მხარე იგებს და მეორე აგებს, მინიმალური ხელფასის ირგვლივ არსებული კვლევები ცხადყოფენ, რომ ეს შეიძლება მომგებიანი იყოს ორივე მხარისთვის.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

,,ყოველ ახალ თაობას საკუთარი სიახლე მოაქვს“...

/დასაწყისი გვ.4/

სადაც განათლებული და წესიერი ადამიანები ადგილს ვერ პოულობენ, შესაბამისად, ახალგაზრდების ჩართულობა პოლიტიკურ დღის წესრიგში ძალიან მცირეა, რაც აისახება პოლიტ პარტიებზე, მათ კადრებზე და სახეებზე... 2012 წლის შემდეგ, როცა პირველად მოხდა არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა, ბევრი ახალი სახე შემოვიდა ქართულ პოლიტიკაში, ბევრმა მათგანმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის ისტორიაში, არ შემიძლია სიამაყით არ აღვნიშნო, რომ ჩვენი რაიონის შვილმა ირაკლი ღარიბაშვილმა უკვე მეორედ დაიკავა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. ახალგაზრდა ადამიანი, რომელმაც 29-30 წლის ასაკში უმაღლესი პოლიტიკური სადავეები ჩაიბარა და საკმაოდ წარმატებითაც. პოლიტიკას სჭირდება ახალგაზრდები, პოლიტიკური სპექტრი უკვე ახალმა თაობამ უნდა ჩაანაცვლოს.. ამისთვის მნიშვნელოვანი სამუშაოებია გასატარებელი ახალგაზრდებთან, რათა მათ სწორად მიეწოდოთ პოლიტიკის არსი.

წიგნი თუ კომპიუტერი?

მართალია, ჩვენს ეპოქაში ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად ვითარდება და შესაბამისად, დიდ ადგილს იკავებს კომპიუტერი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში და ამას ბევრი დადებითიც აქვს. მიუხედავად ამისა, მე მიმაჩნია, რომ მისი საჭიროებისამებრ გამოყენება და დროის სწორად გადანაწილება არ გვიშლის ხელს წიგნთან ურთიერთობაში. თუ, რა თქმა უნდა, ეს გვინდა. წიგნი ესთეტიურ სიამოვნებას გვანიჭებს, გვაძლევს საშუალებას, ვიმოგზაუროთ ნებისმიერ დროში, რეალურ და ირეალურ სამყაროებში... როგორც გურამ დოჩანაშვილი იტყოდა, რა არ გამოგვიცდია წიგნის საშუალებით.. „მეფედ ვუკურთხებივართ, სიკეთისათვის ხის ხმლით გვიბრძოლია, ხან დაფნა დაგვიდგამს თავზე, ხან — ეკალი. ქუსლში დავჭრილვართ, გილიოტინაზე ავსულვართ, მიწისათვის გვიკოცნია და მისი წმიდათაწმიდა ნაწილები ტუჩებზე აგვყოლია“. ამიტომ წიგნს და კომპიუტერს ჩემს ცხოვრებაში სხვადასხვა ადგილი უკავია.

რას ნიშნავს თქვენთვის განათლებული ადამიანი?

ჩემი აზრით პიროვნება, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ განათლებული, უნდა გამოირჩეოდეს მსოფლმხედველობით, რომელსაც გააჩნია საკუთარი მოსაზრება ცხოვრების ყველა ასპექტზე და სფეროზე, აზროვნების და გაგების უნარი, განვითარების სიმაღლე, სოციალური და ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც მას ხდის ძლიერს, ერუდიცია.. პროფესიულის გარდა, ფართო ზოგადი განათლება და ა. შ

რა არის თქვენთვის სამშობლოს სიყვარული?

სამშობლოს სიყვარული საკმაოდ ფაქიზი თემაა, ყველა ადამიანს ამ გრძნობის საკუთარი აღქმა გააჩნია, ამის ხშირად დაპირისპირების საგნადაც იქცევა. უახლეს ისტორიაში ჩვენ გვაქვს მაგალითი როდესაც „სამშობლოს სიყვარული“ ძმათამკვლელ სამოქალაქო ომში გადაიზარდა.. შეგვიძლია ამ თმის რომანტიზირებაც მოვახდინოთ, როგორც ჩვენ გვიყვარს ხშირად სადღეგრძელოებში, ცა, ზღვა, მთები... რაც თავის მხრივ კარგია თუმცა ხშირად არ არის საკმარისი მხოლოდ იმის თქმა „მიყვარს სამშობლო!“. ყოველ ღამე როდესაც ჩვენ გვძინავს ჩვენი ქვეყნის საზღვრის დასაცავად მხარზე იარაღ გადაკიდებული მესაზღვრე ათეულობით კილომეტრს გადის, ამ წუთას იბრძვის ექიმი ჩვენი თანამოქალაქის სიცოცხლის გადასარჩენად, გათენებისას, როდესაც მზე ჯერ კიდევ არ არის ამოსული ადამიანები მუშაობენ ქუჩაში და ზრუნავენ მის სისუფთავეზე.. სადღაც სოფელში ზის მასწავლებელი, რომელსაც სულ ერთი მოსწავლე ყავს მაგრამ ამის მიუხედავად მთელ ენერგიას აქსოვს მის განათლებაში.. ეს არის ქვეყნის სიყვარული.. ქვეყნის სიყვარულია რასაც ახლა აკეთებთ თქვენ, თქვენი პროფესიით.. როდესაც ერთი ადამიანის საქმე ხელს გიწყობთ, გაძლევთ საშუალებას მშვიდად და უკეთესად გააკეთოთ თქვენი საქმე ესეც სამშობლოს სიყვარულია.. ძალიან რომ არ გამიგრძელდეს სამშობლოს სიყვარული გამოიხატება შენი სამსახურით, რომელსაც აკეთებ გულით, ენთუზიაზმით და უანგაროდ.. არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს სპორტი, თეატრი, ჟურნალისტიკა, პოეზია, პოლიტიკა თუ სხვა..

როგორი უნდა იყოს თანამედროვე პატრიოტი?

სიტყვა პატრიოტიზმზე პირველი რაც მახსენდება, ჩვენი ისტორიაა. ჩვენმა ქვეყანამ მრავალი გმირი აღზარდა, რომლებიც სამშობლოს დაცვისა და გადარჩენისთვის საუკუნეების მანძილზე ვერაგ დამპყრობლებს ებრძოდნენ. არც ახალი ისტორია გვაძლევს გათამამების საშუალებას, ორი ათწლეულის მანძილზე რამდენიმე ომი გადავიტანეთ, მაგრამ აქაც, ჩვენი გმირების შეუპოვრობამ გადაარჩინა ქართული გენი, კულტურა და დღეს ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს.

იცვლება მსოფლიო და შესაბამისად იცვლება ღირებულებები, ხედვები... პატრიოტიზმმაც იცვალა გამოხატვის ფორმები. მხოლოდ ბრძოლის ველზე სიკვდილი როდია ქვეყნის სიყვარული. ჩვენ თაობას სხვა რეალობაში გვიწევს ცხოვრება, ახალგაზრდისთვის ,ვისაც ჭეშმარიტად უყვარს სამშობლო, უპირველესია განათლება და შრომა. სწორედ ამ მოქმედებით იგი ქვეყნის წინსვლაში და განვითარებაში თავის წილ აგურს დებს. მიმაჩნია, რომ ყველა ადამიანის პროფესია და სამსახური მიმართული უნდა იყოს სახელმწიფო ინტერესებისადმი. ეს არის თანამედროვე პატრიოტიზმი.

როგორ გგონიათ, სამშობლოდან წასვლა საზღვარგარეთ პრობლემებისგან გაქცევაა თუ...

ძალიან რთულია ამ თემაზე სუბიექტური აზრის დაფიქსირება, საკმაოდ სენსიტიური საკითხია, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისთვის.. მოგეხსენებათ, ათასობით ჩვენი თანამოქალაქე იმყოფება საზღვარგარეთ ემიგრაციაში, რაც ისედაც ერთი მუჭა ერისთვის დიდი ტკივილია.. ასევე დიდი ტკივილია ის, რომ საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მათზე დგას. პირველ რიგში ვისურვებდი და მჯერა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ძლიერი ქვეყანა, ჩვენი მოქალაქეები კვლავ დაუბრუნდებიან თავის მიწა-წყალს და ერთად გავაგრძელებთ ქვეყნის შენებას.

მედალს ყოველთვის აქვს ორი მხარე: ხშირად მომისმენია საზღვარგარეთ წასული ჩვენი მოქალაქეებისგან სიტყვები.. „რომ დალაგდება ქვეყანაში ყველაფერი, ჩამოვალ“! რაც თავის მხრივ წყენას და პროტესტს იწვევს ჩემში, თითქოს ჩვენ, აქ მყოფებმა, უნდა ვიბრძოლოთ, მოვაწესრიგოთ სისტემა, გავაძლიეროთ ქვეყანა და ისინი შემდეგ ჩამოვლენ და განაგრძობენ აქ ცხოვრებას, ეს ბრძოლის ველიდან გაქცევას ჰგავს და პირადად ჩემთვის ასეთი დამოკიდებულება ღალატის ტოლფასია, რაც არ უნდა ცუდად ჟღერდეს.. ძალიან ბევრი სტუდენტი მიდის განათლების მისაღებად და უკან არ ბრუნდება, რაც ქვეყნისთვის დიდი დანაკარგია. რადგან სწორედ ის ადამიანები, ვისაც შესწევს უნარი, აქვს კომპეტენცია და შეგვიძლია მას დავეყრდნოთ, სრულიად სხვა ქვეყანაში აგრძელებს მოღვაწეობას.. ასევეა ქვეყნიდან „ჯანმრთელი ძალის“ გადინება.. თუმცა, მეორეა ის, რას ვთავაზობთ ადამიანებს იმისთვის, რომ არ წავიდნენ სხვა ქვეყანაში.. ჩვენი ქვეყანა, ჯერ-ჯერობით კვლავ გამოირჩევა ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით, რაც იძულებულს ხდის ადამიანებს, დატოვოს სამშობლო... ამ მიმართულებით, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, იდგმება მნიშვნელოვანი ნაბიჯები, თუმცა, ეს სისტემური პრობლემაა და ხანგრძლივი მუშაობა სჭირდება.. ასევე ხშირია საკუთარის დაუფასებლობა... ნიჭის, უნარებისთვის ადგილების ვერ მონახვა, რაც გულის აცრუებას და წასვლის სურვილს ხშირად აჩენს... ამიტომ მიჭირს ამაზე საუბარი, ბევრი ადამიანური ფაქტორია და ემოციების სიჭარბე... თუმცა ჩემი მყარი პოზიციაა, რომ ყველაფრის მიუხედავად, ადამიანმა მაქსიმალურად უნდა ეცადოს, არ დატოვოს ქვეყანა, ხოლო თუ დატოვა, აუცილებლად დაბრუნდეს!

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის და ISET-ის კვლევის შედეგები

საქართველოში დასაქმებული ქალების მხოლოდ 3%-ს აქვს კანონით მინიჭებული უფლება, ისარგებლოს დედობის სრულად ანაზღაურებადი შვებულებით. გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც დამსაქმებელი დამატებით ანაზღაურებას მათ საკუთარი სურვილით უხდის, - ამის შესახებ გაეროს ქალთა ორგანიზაციის და ISET-მა ახალი კვლევის შედეგებშია აღნიშნული.

კვლევის თანახმად, დედობის შვებულების სახელმწიფო კომპენსაცია თვეში 167 ლარია, რაც საარსებო მინიმუმზე ნაკლებია.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოს შრომის კოდექსში მნიშვნელოვანი პროგრესული ცვლილებები შევიდა, დედობის დაცვის თვალსაზრისით, კანონმდებლობა გაუმჯობესებას კვლავაც საჭიროებს.

„საქართველოს შრომის კანონმდებლობა დასაქმებულთა სხვადასხვა ჯგუფისთვის განსხვავებულ სტანდარტებს აწესებს. ბავშვის მოვლის ანაზღაურებადი შვებულებაც ქალებისა და კაცებისთვის არათანაბრადაა ხელმისაწვდომი, რის გამოც პროფესიულ საქმიანობას უმეტესად ქალები თმობენ. ოჯახის საქმეებზე პასუხისმგებლობის აღებაც ძირითადად ქალებს უწევთ, ამიტომ რეპროდუქციულ ასაკში ისინი არაპროდუქტიულ თანამშრომლებად და ნაკლებად მიმზიდველ კადრად განიხილებიან. საბოლოოდ, ეს გარემოებები სამუშაო ძალაში ქალთა მონაწილეობაზე ნეგატიურად აისახება.

ქვეყანას ამ დრომდე არ აქვს რატიფიცირებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დედობის დაცვის 183-ე კონვენციაც – დოკუმენტი, რომელიც შრომის ბაზარზე ორსული ქალებისა და დასაქმებული დედების დასაცავად საჭირო მინიმალურ სტანდარტებს ადგენს. შესაბამისად, მისი რატიფიცირება დასაქმებული დედებისა და მათი ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ხელშეწყობისა და დაცვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება. გაეროს ქალთა ორგანიზაცია 183-ე კონვენციის რატიფიცირებისა და კვლევაში წარმოდგენილი რეკომენდაციების მხარდაჭერას სამომავლოდაც გააგრძელებს“,-აღნიშნულია ინფორმაციაში.

კვლევა გაეროს ქალთა ორგანიზაციის რეგიონული პროექტის „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და ავსტრიის განვითარების ფონდის (ADC) დაფინანსებით ჩატარდა. სრული ანგარიშისთვის ეწვიეთ ბმულს: https://bit.ly/3xzaLxS

აფხაზეთში ინდური შტამი სახიფათო მასშტაბებს იძენს

ოკუპირებულ აფხაზეთში ინდური შტამი სახიფათო მასშტაბს იძენს. რეგიონში ამბობენ, რომ ტურისტები ფსოუს საზღვარს ყალბი კოვიდპასპორტებით კვეთენ, შემოსვლამდე კი სიცხის დამწევ პრეპარატს იღებენ. აფხაზეთის ე.წ. ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, ჯერ ზღვის სეზონი არც დაწყებულა და ყოველდღიურად ათასამდე ინფიცირების შემთხვევაა. ჯანდაცვის მიმართულების ხელმძღვანელის ირმა ვოუბას თქმით, "პანდემიის განმავლობაში 6 400-ზე მეტი დაინფიცირდა, თუმცა ბოლო ხანებში შემთხვევები კატასტროფული სისწრაფით იმატებს. ვირუსის დელტა ვარიანტი ბავშვებშიც სწრაფად ვრცელდება და მძიმედ მიმდინარეობს. მხოლოდ სოხუმში დღე-ღამეში 700-ზე მეტი ინფიცირების შემთხვევა დაფიქსირდა და მათ შორის 100-ზე მეტი ბავშვია".

„აფხაზები ისევ ქართველი ექიმების იმედზე ვართ"

აფხაზური მედიის ცნობით, კოვიდსაავადმყოფოდ არის გადაკეთებული ყველა ამბულატორიული ცენტრი, სრული დატვირთვით მუშაობს ტურბაზაც, სადაც სამედიცინო მედდები და ექთანები გადაისროლეს, თუმცა საკმარისი არ არის... ე.წ. ჯანდაცვის სამინისტრო მოსახლეობას მიმართავს, რომ 5 ივლისიდან რეგიონში რეგულაციები გამკაცრდება, შეიზღუდება ხალხმრავლობა, აიკრძალება წვეულებები...

"ინფიცირებულთა რაოდენობა ლამის საათობრივად მატულობს. მათ შორის არის სამედიცინო პერსონალიც, რომელსაც ისედაც დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ უწევთ მუშაობა, ბევრიც სამსახურს ტოვებს. ვითარებას ამძიმებს ისიც, რომ ინფიცირებულთა შორის უამრავი ბავშვია. ზოგ მათგანს ვირუსი ძალიან მძიმედ, პნევმონიის თანხლებით გადააქვს. ჩვენს სამედიცინო სისტემას კი არ შესწევს უნარი ასეთ დატვირთვას გაუძლოს. ქვეყანა უმძიმესი საფრთხის წინაშეა. ვცდილობთ ყველა გზა ვიპოვოთ, რათა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მედიკამენტების გარეშე არავინ დარჩეს", - ნათქვამია აფხაზი ექიმების მიმართვაში.

მოსახლეობის ცნობით, ბევრი აიცრა რუსული ვაქცინით, თუმცა ვირუსი მაინც ვრცელდება, რაც ეჭვს იწვევს. მათივე მოსაზრებით, აფხაზეთში გავრცელებული ნარკო და ალკოდამოკიდებულების გამო ახალ თაობას ისედაც აქვს ჯანმრთელობის პრობლემები და მათი იმუნიტეტი ვერ უმკლავდება სახიფათო ვირუსს.

„ამ ბავშვების მამები 15-16 წლიდან, მოიხმარენ ნარკოტიკსა და ალკოჰოლს, ამიტომ უამრავი თანდაყოლილი პრობლემა აქვთ. დელტა-ვარიანტი სწორედ ასეთ ბავშვებს ეტანება. უკვე გვყავს რამდენიმე პატარა პაციენტი პნევმონიის მძიმე ფორმით. ისინი სიცოცხლისთვის იბრძვიან... მესამე ტალღა ბევრად მძიმედ მიმდინარეობს და შეცდომის უფლება არ გვაქვს", - მიმართავს ექიმი ნუგზარ ტუჟბა ხალხს.

თუმცა არიან ისეთები, ვისაც ვირუსზე მეტად ტურისტული სეზონის ჩავარდნის ეშინია. "მათთვის, ე.წ. ელიტისთვის, არც ერთი შეზღუდვა არ მოქმედებდა, რესტორნებშიც დადიოდნენ და ქორწილებსაც მართავდნენ... ჩვენ სახლებში უნდა გამოგკეტონ და ტურისტებიც თავად უნდა მიიღონ, რადგან ჩვენი საოჯახო სასტუმროები თურმე კოვიდსტანდარტებს არ აკმაყოფილებს. რა გინდათ, ხალხი ქუჩაში გამოვიდეს და ტყვიები დაგიშინონ? შედით სოხუმის ბაზარში, პირბადეც არავის უკეთია, ამას თქვენი მილიცია ვერ ხედავს თუ მათ არ გადაედებათ?" - წერს სიმონ არქანია.

„მოსახლეობის ნაწილი არ ენდობა რუსულ ვაქცინას. ამბობენ, "ხელმძღვანელობამ" ეგ ვაქცინა იმიტომ შემოიტანა, რომ რუსეთისთვის ეამებინაო. "სპუტნიკი" რუსებმაც გაიკეთეს, მაგრამ იქაც მძვინვარებს დელტაშტამი. რა გამოდის, რუსული ვაქცინა ინდური შტამისგან ვერ გვიცავს? ასე უიმედოდ ჯერ არ ვყოფილვარ", - წერს სოცქსელში სპარტაკ კვიწინია.

„იქნებ როგორმე ეს სეზონიც არ ჩაგვიგდოთ ამდენი შეკვეთილი სტატიებით. ბავშვი, რომელიც ახლა სოხუმის საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაშია და ექიმებმა ინდური შტამი დაუდგინეს, ბრონქიალური ასთმით იტანჯებოდა. ნებისმიერ ვირუსს თუ გაცივებას შეეძლო ცუდ დღეში ჩაეგდო. ამიტომ, ნუ გვატყუებთ და გვაპანიკებთ. ჰიგიენის ნორმები დაიცავითო და, 40 გრადუსამდე სიცხეში დენი გრაფიკით მოგვეწოდება, მაინინგის ბიზნესს ვერ შეელივნენ. ტურისტებს ელემენტარულ მომსახურებას ვერ ვთავაზობთ და თვალი გაქცევაზე უჭირავთ. როგორმე ხომ უნდა ვიარსებოთ?" - წერს ბადრი ჩაკვეტაძე.

„ტურიზმის სეზონი ჩავარდნის ზღვარზეა. ახლა კიდევ ინდური შტამი გამოჩნდა, რომელიც თურმე ბავშვებს ერჩის... საქართველოში კი მიგვიღებენ, მაგრამ სექტემბრიდან იქაც მესამე ტალღას ელოდებიან და არავინ იცის, რა იქნება. აქ უკონტროლოდ, ყალბი კოვიდპასპორტებით შემოდიან რუსი ტურისტები, ორი კაპიკის გამო შვილების ჯანმრთელობით ვრისკავთ და თუ რამე, ქართველი ექიმების იმედზე ვართ. ჩვენი ხელისუფლება უხერხულად იშმუშნება, მაგრამ იცის, რომ ქართული მხარე დახმარების ხელს ყოველთვის გამოუწვდის. ამიტომ ძალიანაც არ ნერვიულობს. რადიკალური პარტიები კი ყვირიან, ქართულ მხარეს კედელი უნდა აშენდესო, მაგრამ თუ დასჭირდა, პირველი თავად ჩახტებიან თბილისისკენ მიმავალ რეანიმობილში. ხომ გვინახავს ასეთი არაერთი შემთხვევა?! 30 წელია ერთ მოჯადოებულ წრეზე ვტრიალებთ და არაფერი იცვლება", - წერს სოხუმელი მარინა აბუთბა.

ნანა, 42 წლის: "გალში არავინ იცავს წესებს. ტრანსპორტი აქაც სავსეა. არც მიმოსვლა შეგვიწყვეტია. გალის საავადმყოფო, ფაქტობრივად, არც არსებობს... აფხაზებს შეზღუდვების და ტურისტების დაკარგვის უფრო ეშინიათ, ვიდრე ინდური შტამის, თუმცა ზოგიერთი გვეუბნება, თქვენ რა გიჭირთ, საზღვართან ახლოს ხართ და უცებ გადაგიყვანენ საქართველოშიო".

„ქართულ მხარეს გახედვის უფლებასაც არ გვაძლევენ"

ინდური შტამი ცხინვალის რეგიონშიც გამოჩნდა. ახალგორელი სამოქალაქო აქტივისტის თამარ მეარაყაშვილის ცნობით, პირველი-მეორე ტალღის შემდეგ, როგორც ცხინვალის, ასევე ახალგორის საავადმყოფოები გაუმართავი მენეჯმენტის, კორუფციის, ნეპოტიზმისა და სხვა პრობლემების გამო არაერთმა კვალიფიციურმა კადრმა დატოვა. ახალგორელები წერენ, რომ ინდური შტამის გავრცელების ტემპიდან გამომდინარე, რეგიონში მესამე ტალღა გარდაუვალია. "პრეზიდენტი" ანატოლი ბიბილოვი და ექიმი მარინა კოჩიევა ხალხს მოუწოდებენ აიცრან "სპუტნიკით", თუმცა აქაურების ნაწილს რუსული ვაქცინის ეფექტიანობის არ სჯერა.

"ჯერ გვეუბნებოდნენ, ვაქცინა დაგიცავთო და ხანდაზმულები აცრეს. ახლა ირკვევა, რომ ეს ახალი შტამი ბავშვებში ძალიან სწრაფად ვრცელდება და მძიმედ მიმდინარეობს. რა გველოდება ამ ჯანდაცვის სისტემის ხელში, არ ვიცი. ქართულ მხარეს გახედვის უფლებასაც არ გვაძლევენ, არადა, ახალგორისა და ცხინვალის საავადმყოფოებში ჟანგბადის აპარატები კი არა, საკმარისი ფონენდოსკოპები არა აქვთ", - ამბობს ერთ-ერთი ახალგორელი.

„ახალი რეგულაციები ბიბილოვის ხელისუფლების შენარჩუნებას ემსახურება. ერთხელ უკვე ჩაგვკეტეს სახლებში და ლუკმაპურიც დავკარგეთ. ახლა ბავშვების დაინფიცირებით გვაშინებენ. საკმარისია!" - წერს ანია კოჩიევა.

თალიბების მტკიცებით, ავღანეთის 200-ზე მეტ რაიონს აკონტროლებენ

ავღანეთის სამთავრობო ძალებმა ბადღისის პროვინციის დედაქალაქ ქალაი-ნაუზე, რომელიც გუშინ თალიბებმა აიღეს, კონტროლი ხელახლა დააწესეს, - ინფორმაციას ღეუტერს-ი ავღანეთის თავდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, რეგიონში ასობით დამატებითი ჯარისკაცი განალაგეს.

„ქალაქი სრულად დაბრუნდა ჩვენი კონტროლის ქვეშ და მის შემოგარენში „თალიბანის" წინააღმდეგ ოპერაციებს ვახორციელებთ", - განაცხადა თავდაცვის სამინისტროს პრესსპიკერმა ფავად ამანმა.

მისივე თქმით, აღნიშნული ოპერაციების დროს 69 თალიბი მებრძოლი დაიღუპა და ავღანეთის სამთავრობო ძალებმა დაჯგუფების კუთვნილი იარაღი და საბრძოლო მასალები ჩაიგდეს ხელში.

აღსანიშნავია, რომ ბადღისის პროვინციის დანარჩენი ნაწილი თალიბების ხელშია. დასავლეთის ქვეყნების უსაფრთხოების ძალების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თალიბებმა ავღანეთში 100-ზე მეტი რაიონი აიღეს, თავად თალიბები კი ამტკიცებენ, რომ 34 პროვინციის 200-ზე მეტ რაიონს აკონტროლებენ.

შეგახსენებთ, თალიბები მას შემდეგ გააქტიურდნენ, რაც აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ ჯარი ავღანეთს 2021 წლის 11 სექტემბრამდე, 9/11 ტერაქტის 20 წლისთავამდე, დატოვებდა. რამდენიმე დღის წინ ამერიკულმა ჯარმა ავღანეთში მათი მთავარი სამხედრო ბაზა, ბაგრამის ბაზა დატოვა. აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალურმა სარდლობამ ორი დღის წინ განაცხადა, რო, აშშ-მა ავღანეთიდან ჯარების გაყვანის პროცესის 90% დაასრულა.

ჩაქრა, ჩანავლდა მათი ოცნება

მირზაანში, ერთ ოჯახში, 63 წელიწადში ორი ტრაგედია დატრიალდა. ორი ელგუჯა, ორივე ემიგრაციაში გარდაიცვალა.

პირველად 1957 წელს იოსებ პოპიაშვილის ოჯახს მეხივით დაეცა შვილის სიკვდილი. სამხედრო ვალმოხდილი ელგუჯა პოპიაშვილი წყალში დაიხრჩო და ოჯახს „ცინკის" კუბოთი მოუვიდა. ოჯახის ტრაგედია სოფლის ტრაგედიად იქცა.

ოჯახს დარჩა იმედის ნაპერწკალი პატარა გოგო ზეინაბ პოპიაშვილი. როგორც ყოველთვის სიცოცხლე გაგრძელდა. ცრემლისა და ძაძების შემყურე გოგო გაიზარდა, დაოჯახდა და ბედი თამაზ გონაშვილს დაუკავშირა. სამი შვილი ეყოლათ. ერთ ვაჟს ისევ ელგუჯა დაარქვეს. ოჯახში თითქოს ძველი ელგუჯა გაცოცხლდა. ის გარეგნულადაც ჰგავდა მას და ბუნებითაც კეთილი, ყველგან სითბოს და სიყვარულს აფრქვევდა. სამწუხაროდ, ბედშიც დაემსგავსა ბიძას.

შვიდი წელი თურქეთში მუშაობდა და წამოსვლის წინა დღეებში გარდაიცვალა. მანაც, ბიძამისივით, თავისი ლამაზი სული ემიგრაციაში დატოვა. მაგრამ ჩვენი ქვეყნის მთავრობის დიდი ძალისხმევით დედას შვილის საფლავი არ დაუკარგეს და ცხედარი სამშობლოში ჩამოასვენეს. დიდი მადლობა ჩვენს პრემიერს, ჩვენი რაიონის კარგ შვილს ირაკლი ღარიბაშვილს, საელჩოს და ჩვენი სოფლის და მუნიციპალიტეტის გამგებლებს. ამ ძალისხმევისათვის დიდება და სახელი არ მოგაკლდეთ. დიდი მადლობა მთელ სამთავრობო გუნდს, ოჯახისა და სოფლის სახელით. დაე, აღარ ჰყავდეს ჩვენს ქვეყანას ემიგრანტები, გამთლიანდეს სრულიად საქართველო.

დალი ფიროსმანაშვილი, აკაკი თარაშვილი,
სოფელი მირზაანი

თამაზი ჯარიაშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ზაირა და გია ალუღიშვილებს შვილის და ძმის

გელა ალუღიშვილის

გარდაცვალების გამო.

ეთერ ფიცხელაური, გოდერძი, გია აბულაშვილები ოჯახით მწუხარებით იუწყებიან

ზინაიდა (ზიზი) ხუციშვილ-ყოჩიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ციური, ვალერი და გულო ყოჩიაშვილებს დედისა და რძლის გარდაცვალების გამო.

ზურაბ ჩალაბაშვილი და მარგო იაკობიშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს ლია ახალაშვილს დედის და მარინა ლობჯანიძეს ბებიის

შურა ყველაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნაირა გორაშვილი, ზურაბ და მაგდა პოპიაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ თინა და მზია გოგაშვილებს შვილის და დის, ბესო გოზალიშვილს ცოლისდის

მარინა გოგაშვილის

გარდაცვალების გამო.

უშუს გუნდი კვლავ წარმატებით ასპარეზობს

დედოფლისწყაროს უშუს გუნდი წარმატებით აგრძელებს ასპარეზობას. რამდენიმე დღის წინ გუნდი იმყოფებოდა ქ.რუსთავში საერთაშორისო ტურნირზე შერეულ ორთაბრძოლებში.

ტურნირზე საქართველოს გუნდების გარდა, აზერბაიჯანიდან მოწვეული გუნდებიც იღებდნენ მონაწილეობას. დედოფლისწყაროელმა სპორტსმენებმა ძალები მოსინჯეს და ორთაბრძოლები გამარჯვებებით დაასრულეს.

„ჩვენი გუნდიდან ტურნირზე 7 სპორტსმენი მონაწილეობდა და შვიდივემ ჩემპიონობა მოიპოვა, განსაკუთრებით გამორჩეული იყო გიორგი წიკლაურის ბრძოლა, რომელმაც რამდენიმე წამში მოწინააღმდეგე ნოკაუტში გაგზავნა და დაეუფლა ჩემპიონობას. საკმაოდ რთულ და ძლიერ მეტოქესთან მოუწიათ ბრძოლები გივი გოჩიტაშვილს და ლუკა პოპიაშვილს. გივიმ დაძაბულ ბრძოლაში პირველი რაუნდის ბოლოს მეტოქე მახრჩობელა ილეთზე დაიჭირა და დროზე ადრე დაასრულა შეხვედრა. ასევე მახრჩობელა ილეთით იმარჯვა ლუკა პოპიაშვილმა. საბოლოო ჯამში ჩვენმა ყველა სპორტსმენმა პირველივე რაუნდში გაიმარჯვა. მე ამ შეჯიბრს დავარქმევდი „ძლევაი საკვირველს“. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო სპორტის ცენტრის დირექტორს აკაკი ნატროშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, გვერდში დგომისთვის და მხარდაჭერისთვის. ეს შეჯიბრება სპორტსმენების მოტივაციისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან 6-12 სექტემბერს ქ. ბათუმში იმართება A კატეგორიის ტურნირი უშუში, სადაც ჩვენც მივიღებთ მონაწილეობას და ფორმაში უნდა დავხვდეთ სტუმრებს. სავარაუდოდ, ბათუმში 15 ქვეყნის სპორტსმენი ჩამოვა“ - ამბობს გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას გუნდის მწვრთნელი გიორგი ცისკარაული.

ქართული ღვინის ექსპორტი მზარდია, დადებითი დინამიკა შენარჩუნებულია სტრატეგიულ ბაზრებზეც

მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით, ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე ბოლო წლების ექსპორტის ზრდის დინამიკა შენარჩუნებულია: პოლონეთი – 31% (2864152), ჩინეთი – 10% (2762922), ლიეტუვა – 38% (245940), ლატვია– 2% (809106), აშშ – 35% (502353), გერმანია – 4% (364459), ესტონეთი – 3% (348538) და დიდი ბრიტანეთ – 60% (283 830).

2021 წლის 6 თვეში საქართველოდან მსოფლიოს 56 ქვეყანაში 46,4 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო იყო ექსპორტირებული, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 13%-ით მეტია. ექსპორტირებული ღვინით მიღებული შემოსავალი 104 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე 7%-ით მეტია. ეს მაჩვენებელი ასევე აღემატება პანდემიამდე პერიოდის მონაცემებს - 2019 წლის 6 თვეში საქართველოდან ექსპორტირებული იყო 98 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 40,5 მლნ ბოთლი ღვინო.

მიმდინარე წელს ზრდა აღსანიშნავია ასევე შემდეგ ქვეყნებში: კანადა - 87% (149290), შვედეთი - 48% (61972), ყაზახეთი - 61% (1911844), ისრაელი - 63% (273860), აზერბაიჯანი - 41% (133391), თურქეთი 115% (30930), უკრაინა - 15% (5259909), რუსეთი - 8% (28027286), მონღოლეთი - 261% (232920) და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 322-მა კომპანიამ განახორციელა. ამასთან, ექსპორტირებულია 16 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 21%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 30 მლნ აშშ დოლარს მიაღწია (ზრდა 11%). ექსპორტირებულია 398 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 77% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 1 მლნ აშშ დოლარს აღწევს - ზრდამ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 64% შეადგინა.

მთლიანად ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 170 მლნ აშშ დოლარი, რაც 13%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

ულოცავენ!

ლალი ბასილაშვილს!

ძვირფასო მეგობარო, მეზობელო და უბრალოდ, კარგო ადამიანო, გილოცავთ დაბადების 70 წლის საიუბილეო თარიღს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბევრ ბედნიერ დღეს შენს საუკეთესო ოჯახთან-შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად, რომელთა ერთგულ მსახურებაში გალიე შენი ცხოვრების წლები და კვლავაც მხნედ უდგახარ მათ მხარში. დასაფასებელია შენი წვლილი რაიონის კულტურულ ცხოვრებაში, როგორც მხარეთმცოდნეობის მუზეუმის აქტიური თანამშრომლისა მისი დაარსების დღიდან. კვლავაც წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. უფლის შემწეობა არ მოგკლებოდეს.

პატივისცემით,

ციცინო ლეკაშვილი, ლენა ღარიბაშვილი, ლალი აბულაშვილი, გულო გაჩეჩილაძე, ქეთევან ჯანიაშვილი, ნარა გორაშვილი

ყურადღება!

სიახლე დედოფლისწყაროს

სავაჭრო ქსელში

როგორც წესი და რიგია, სწორედაც რომ, შამპანურებით, ტკბილეულით, ბუშტებით, ფოიერვეკებით და გარშემომყოფთა ოვაციებით, რამდენიმე დღის წინ, ცენტრალური ბაზრის შესასვლელში გაიხსნა **საეკლესიო მაღაზია.**

აქ დიდი არჩევანია იმისათვის, რომ შეიძინოთ თქვენთვის სასურველი საეკლესიო ნივთი, როგორც ოჯახისათვის, ასევე საჩუქრად ახლობლებისა და მეგობრებისათვის დაბადების დღის, ნათლობის, ჯვრისწერის ან სხვა მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად.

მაღაზია გთავაზობთ სხვადასხვა ზომის და ფასის ხატებს, სასანთლეებს, შანდლებს, კანდელებს, ჯვრებს, ყელსაბამებს, ფსკვნილებს, ბეჭდებს, სამაჯურებს, ნათლობის პირსახოცებს, თავსაფრებს, ნაკურთხ ზეთებს, ნახშირს და ხუთთეთრიადან დაწყებული სხვადასხვა ზომის სანთლებს; აგრეთვე, სუფთა თაფლის სანთელს. თქვენი სულიერი განათლებისათვის შეგიძლიათ შეიძინოთ ლოცვები, ფსალმუნები, ახალი აღთქმა. ფასები უთანაბრდება დედაქალაქის ფასებს და ხელმისაწვდომია. აქ თქვენ მოგემსახურებიან თავაზიანად და დაგეხმარებიან თქვენთვის სასურველი ნივთის შერჩევაში.

მაღაზია მუშაობს 10 საათიდან 6 საათამდე-ყოველდღე.

ყურადღება!

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრში ამუშავდა ცხელი ხაზი.

საჭიროების შემთხვევაში დარეკეთ:

☎ 557 76 73 04

ამინდი დედოფლისწყარო

	ორშაბათი 12.07	სამშაბათი 13.07	ოთხშაბათი 14.07	ხუთშაბათი 15.07	პარასკევი 16.07	შაბათი 17.07	კვირა 18.07
დღე	30 °	30 °	29 °	28 °	28 °	30 °	32 °
ღამე	19 °	18 °	18 °	18 °	17 °	18 °	20 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.